28/07/2020

მჯერა რომ არსებობს სიყვარული, ერთგულება, თავგანწირვა, მეგობრობა, და საერთოდ სიკეთე....

ცნობილმა ქართველმა საოპერო მომღერალმა, ქალბატონმა ნინო სურგულაძემ თავის ფეისბუქის გვერდზე სტატუსი გამოაქვეყნა და გვსურს იგი თქვენც გაგაცნოთ:

“მჯერა რომ არსებობს სიყვარული, ერთგულება, თავგანწირვა, მეგობრობა, და საერთოდ სიკეთე....

ძალიან ხანმოკლეა ეს ცხოვრება.....თანაც ძალიან... ერთ წამში შეიძლება დასრულდეს ყველაფერი, თუნდაც სიცოცხლე... სამყარო აღარ არის ისეთი როგორიც იყო ადრე... სამწუხაროდ უარესია ყველა მიმართულებით. ადამიანები ერთმანეთს უპირისპირდებიან... კლავენ... იმეტებენ ... გულს ტკენენ და ანადგურებენ..... ვფიქრობ მხოლოდ რწმენას შეუძლია ადამიანი გადაარჩინოს... სხვა ვერაფერს ვხედავ გამოსავალს... უღმერთობას მიყავს ადამიანი ყოველივე უმზგავსობისკენ და საშინელისკენ.

მინდა რომ ქრისტემ გაიმარჯვოს ჩემს გულში ყოველთვის. თქვენც იგივეს გისურვებთ... ვისაც გწამთ”....

karibche.ambebi.ge